სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

12 / აპრილი / 2024 წ.

KA020198096140824

№ **336/ს**

ბრძანება ,,სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ'' სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსის 2024 წლის 13 მარტის N219/ს ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 4 იანვრის № 1-1/2 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტისა და სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 11 აპრილის N878 ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ,,სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ'' სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსის 2024 წლის 13 მარტის N219/ს ბრძანებაში და ბრძანებით დამტკიცებული დანართის მე-7 ობიექტის მე-5 პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ 2024 წლის 31 იანვრის №OG24-0904887 და 2024 წლის 8 აპრილის № OG24-0934955 წერილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება;''

2. დაევალოს სააგენტოს ადმინისტრაციულ სამსახურს ამ ბრძანების სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის'' გადაგზავნის უზრუნველყოფა.

3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ.თბილისი, სანაპიროს ქ. №2)

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

ანდრო ასლანიშვილი